სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/184

ქ. თბილისი

3 დეკემბერი 2021 წ.

საგანმანათლებლო პროგრამისა და მისი ხელმძღვანელის
დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათის, ფაკულტეტის 2021 წლის 6 ნოემბრის საბჭოს სხდომის № 12 ოქმის და აკადემიური საბჭოს 2021 წლის 3 დეკემბრის №01-05-02/35 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული სისტემები და ქსელური ტექნოლოგიები“, ხელმძღვანელი - პროფესორი მზია კიკნაძე

2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**